



მოხსენება

საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის

შესრულების მიმდინარეობის შესახებ

მთავრობის ანგარიშზე

შინაარსი

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები	3
1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობა აგრეგატულ დონეზე.....	4
2. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	6
3. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები.....	11
3.1. მხარჯავი დაწესებულებები	14
3.2. საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები.....	21
4. ლიკვიდობის მართვის საკითხები.....	25
4.1. სახაზინო ვალდებულებები/ობლიგაციები	25
4.2. ფულადი სახსრების მართვა	29
5. საგარეო წყაროებიდან მიღებული დაფინანსება.....	31

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლები	მოხსენება მომზადებულია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტისა, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 183-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 39-ე მუხლის შესაბამისად.
მოხსენების დოკუმენტური საფუძვლები	მოხსენების მოსამზადებლად გამოყენებულია: ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“; ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე სახელმწიფო ხაზინის მიერ მომზადებული ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშები; გ) მხარჯავი დაწესებულებების (სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვ.) მიერ მომზადებული ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების დოკუმენტები; დ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების მასალები და დასკვნები; ე) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია;
სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებლობა	სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასა და წლიური ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა. ანგარიშის საფუძვლად გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებაზე პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელი არიან საქართველოს მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება.
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა	მოხსენების სამართლებრივი საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის საქართველოს მთავრობის ანგარიშში ასახვის სიზუსტესა და სისრულეს, ასევე ხარჯების კანონიერებას.
ზოგადი შეფასება	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მოხსენებაში მოცემული მნიშვნელოვანი საკითხების გარდა, „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ მთავრობის ანგარიში მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობა აგრეგატულ დონეზე

აგრეგატულ დონეზე 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესრულების ანალიზით ვლინდება, რომ 2013 წლის 8 თვის მდგომარეობით, შემოსულობების ჯამური მაჩვენებელი 4,658 მლნ ლარს და წლიური გეგმის 55%-ს შეადგენს. ხოლო გადასახდელების ფაქტობრივი შესრულება 4,603 მლნ ლარს და წლიური გეგმის 53%-ს გაუტოლდა.

	2013 წელი		
	შესრულება 8 თვის მდგომარეობით	წლიური გეგმა	
შემოსულობები	4,658,477	8,425,500	55%
გადასახდელები	4,603,692	8,748,500	53%

2013 წლის 8 თვის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილება არ განხორციელებულა. რაც შეეხება კვარტალურ განწერასთან მიმართებას, აგრეგატულ დონეზე სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება ძირითადად შესაბამისობაშია კვარტალური განწერით დამტკიცებულ გეგმურ მაჩვენებლებთან (კვარტალურ განწერაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით). კერძოდ, შემოსულობების ჯამური მაჩვენებლის შესრულებამ 8 თვის მდგომარეობით 9 თვის გეგმის 80.7%, ხოლო გადასახდელების ჯამური მაჩვენებლის შესრულებამ 72.1 % შეადგინა. თუმცა გასული წლის მსგავსად, საყურადღებოა ის კვარტალური საპროგნოზო მაჩვენებლები, რომლებიც ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ ანგარიშებშია ასახული და რომლებთან შედარებითაც ხდება შესრულების მდგომარეობის ასახვა. კერძოდ, 2013 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის განწერაში განხორციელდა ორი ცვლილება „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 31 დეკემბრის N549 ბრძანებაში შეტანილ ცვლილებების საფუძველზე(29.03.2013 წ. და 28.06.2013წ.), რის შედეგადაც დაკორექტირდა, როგორც შემოსულობების, ისე გადასახდელების გეგმური მაჩვენებლები.


სახელმწიფო ბიუჯეტის აგრეგატული მაჩვენებლები(ათასი ლარი)


	საწყისი კვარტალური განწერა	კორექტირებული კვარტალური განწერა	ფაქტობრივი შესრულება	ფაქტობრივი შესრულება (%-ად საწყის კვარტალურ განწერასთან)	ფაქტობრივი შესრულება (%-ად კორექტირებულ კვარტალურ განწერასთან)
3 თვე					
შემოსულობები	1,982,323	1,792,917	1,801,935	90.9%	100.5%
გადასახდელები	2,194,364	1,638,243	1,564,241	71.3%	95.5%
6 თვე					
შემოსულობები	3,836,028	3,398,351	3,438,046	89.6%	101.2%
გადასახდელები	4,434,989	3,543,673	3,395,584	76.6%	95.8%

ცხრილი 2. სახელმწიფო ბიუჯეტის აგრეგატული მაჩვენებლები

იმის გათვალისწინებით, რომ გასული წლების მსგავსად, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ ანგარიშებში ასახული გეგმური მაჩვენებლები წარმოადგენს კვარტლის დასასრულს კორექტირებულ გეგმას(ბრძანების საფუძველზე), მასთან მიმართებაში საბიუჯეტო აგრეგატების შესრულების მდგომარეობის განხილვა არასრულყოფილ სურათს იძლევა, რაზეც 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაშიც აღინიშნა. მიზანშეწონილია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის შესრულების ანგარიშებში აისახოს საანგარიშო პერიოდის დასაწყისში არსებული კვარტალური გეგმური მაჩვენებლები, რათა მოხდეს შესრულების რეალური მდგომარეობის და გეგმური მაჩვენებლებისაგან რეალური გადახრის წარმოდგენა.


რაც შეეხება ცალკეულ კომპონენტებს, 2013 წლის 8 თვის მდგომარეობით შემოსულობებისა და გადასახდელების ცალკეული კომპონენტების შესრულების წილი წარმოდგენილია დიაგრამებზე.





2. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების წლიური საპროგნოზო მოცულობა 2013 წლის ბიუჯეტის კანონით განისაზღვრა 7,422.5 მლნ ლარის დონეზე, და 8 თვის მდგომარეობით ფაქტობრივმა შესრულებამ 4,228.4 მლნ ლარი(წლიური გეგმის 57.8%) შეადგინა. როგორც უკვე აღინიშნა ის კვარტალური საპროგნოზო მაჩვენებლები, რომლებიც ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ ანგარიშებშია ასახული და რომლებთან შედარებითაც ხდება შესრულების მდგომარეობის ასახვა, წარმოადგენს 2013 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის განწერაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე კორექტირებულ გეგმას. მაგალითისათვის, საწყის კვარტალურ განწერასთან მიმართებაში შემოსავლების ცალკეული კომპონენტების კორექტირებული მაჩვენებლები და შესრულების მდგომარეობა 2013 წლის პირველი კვარტლისათვის მოცემულია დიაგრამაზე.



* საწყისი კვარტალური განწერა აღნიშნავს „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების კვარტალური განწერის დამტკიცების

თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 31 დეკემბრის N549 ბრძანებით დამტკიცებულ გეგმას 3 თვისათვის

* კორექტირებული კვარტალური განწერა აღნიშნავს გეგმას 3 თვისათვის „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და წართი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 31 დეკემბრის N549 ბრძანებაში 29.03.2013წ. შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით

დიაგრამა 1. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები(3 თვე)

რაც შეეხება შესრულებას 8 თვის მდგომარეობით, ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 4,010.6 მლნ ლარი და წლიური გეგმის 58% შეადგინა. გადასახადების ტიპების მიხედვით შესრულების მდგომარეობა მოცემულია ცხრილში.

2013			
	შესრულება 8 თვის მდგომარეობით	წლიური გეგმა (2013 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი)	%
საშემოსავლო	1,116,241	1,802,000	61.9%
მოგების	547,707	924,000	59.3%
დამატებული ღირებულების	1,809,259	3,402,000	53.2%
აქციზი	465,043	663,000	70.1%
იმპორტის	56,808	104,000	54.6%
სხვა გადასახადები	17,057	25,000	68.0%
სულ	4,010,562	6,920,000	58.0%

შესრულების მიმდინარეობასა და ექსტრაპოლაციის მეთოდზე დაყრდნობით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით¹, ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული წლიური გეგმური მაჩვენებლების მიღწევა შესაძლოა გართულდეს, განსაკუთრებით მოგების, დამატებითი ღირებულებისა და იმპორტის გადასახადებისათვის.

რაც შეეხება სხვა შემოსავლებს, 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით სხვა შემოსავლების წლიური გეგმა განისაზღვრა 300 მლნ ლარის დონეზე, ხოლო 8 თვის მდგომარეობით შესრულება 193.9 მლნ ლარს და წლიური გეგმის 64.6%-ს გაუტოლდა. 2013 წლის 8 თვის მდგომარეობით მობილიზებული სახსრების 43%-ს სანქციები(ჯარიმები და საურავები) შეადგენს.


¹ აღნიშნული შეფასება ეყრდნობა 2013 წლის 8 თვის მობილიზების ტენდენციების გათვალისწინებით, ბოლო სამი წლის მაჩვენებლების საფუძველზე ექსტრაპოლაციის მეთოდით 2013 წლისათვის საგადასახადო შემოსავლების მოსალოდნელი მოცულობის პირველად შეფასებას.

სხვა შემოსავლების სტრუქტურა
(შესრულება 2013 წლის 8 თვის მდგომარეობით)



რაც შეეხება სხვა შემოსავლების ცალკეულ კომპონენტებს, დივიდენდების მუხლით შემოსავლების წლიური გეგმა 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განისაზღვრა 51 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 8 თვის მდგომარეობით შესრულებამ 28.9 მლნ ლარი (წლიური გეგმის 56.8%) და 9 თვის კორექტირებულ გეგმას 18.9 მლნ ლარით (188.3%) გადააჭარბა. დივიდენდების სახით შემოსავლების უდიდესი წილი მიღებულ იქნა 2013 წლის იანვარსა (10 მლნ ლარი) და აგვისტოში (18.7 მლნ ლარი).

დივიდენდების ყოველთვიური დინამიკა (2013 წ.)




დიაგრამა 3. სახ. ბიუჯეტის დივიდენდების მუხლით შემოსავლების ყოველთვიური დინამიკა (ათასი ლარი)

საყურადღებოა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის დივიდენდების მუხლით შემოსავლების დაგეგმვასა და შესრულებასთან დაკავშირებით არსებულ ხარვეზებზე 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაშიც აღინიშნა. კერძოდ, აღნიშნულ იქნა ერთი მხრივ, წლის განმავლობაში ამ მუხლით გეგმის არსებითი ცვლილებები, მეორე მხრივ, წლის განმავლობაში არათანაბარზომიერი შესრულების ტენდენცია. აქვე მითითებულ იქნა, რომ 2012 წელს არ ჩატარებულა სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების


განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნილი კომისიის სხდომა, ხოლო გასული წლის განმავლობაში ხარვეზებით ხასიათდებოდა 2011 წელს აღნიშნული კომისიის გადაწყვეტილების შესრულებაც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი რიგი საწარმოების 2010 წლის მოგების განაწილების შესახებ. **აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ 2013 წლის 22 ივლისს ჩატარდა აღნიშნული კომისიის სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი რიგი საწარმოების მოგების განაწილებასთან დაკავშირებული საკითხები და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ რიგ საწარმოებთან 21/08/2013წ.-03/09/2013წ. პერიოდში გაფორმებულ იქნა 10 შეთანხმება მოგების განაწილებისა და მოგების განაწილების შესახებ უკვე არსებულ შეთანხმებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ამასთან, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია წმინდა მოგების განაწილების წესის შესახებ ინსტრუქციის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფო საწარმოების მართვის, ისე სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდების მუხლით მიღებული შემოსავლების დაგეგმვისა და შესრულებისათვის თუმცა, მიზანშეწონილია მოხდეს მიღებული გადაწყვეტილებებისა და განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება გონივრულ ვადებში, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული მიმართულებით არსებული ხარვეზების დარეგულირებას.**

რაც შეეხება რენტას, 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით, რენტის მუხლით შემოსავლის წლიური გეგმა 10 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა. რაც შეეხება შესრულებას, სახაზინო სამსახურის ინფორმაციით, **2013 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტში რენტის სახით მიღებული შემოსავლების მოცულობამ შეადგინა 6.1 მლნ ლარი და წლიური გეგმის 61%.** შესაბამისად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ 2013 წლისათვის რენტის მუხლით შემოსავლების შესრულების მიმდინარეობა ძირითადად შესაბამისობაშია ბიუჯეტის კანონითა და კვარტალური განწერით გათვალისწინებულ გეგმურ მაჩვენებლებთან.რაც შეეხება სტრუქტურას, მიმდინარე წლის 8 თვის მდგომარეობით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებული შემოსავლები (სახაზინო კოდი 3048)- 6 მლნ ლარს და რენტის მუხლით მიღებული შემოსავლების უდიდეს წილს შეადგენს.



დიაგრამა. სახელმწიფო ბიუჯეტის რენტის მუხლით შემოსავლების დინამიკა(ათასი ლარი)


სახელმწიფო ბიუჯეტის საპროცენტო შემოსავლების წლიური გეგმა 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განისაზღვრა 11 მლნ ლარის დონეზე. რაც შეეხება შესრულებას 8 თვის მდგომარეობით, ფაქტობრივი შესრულება 7.44 მლნ ლარს შეადგენს. რაც შეეხება საპროცენტო შემოსავლების სტრუქტურას, უდიდესი წილი მოდის სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებზე გაცემული სესხებიდან საპროცენტო შემოსავლებზე, რომლის ჯამურმა მოცულობამ 2013 წლის 8 თვის მდგომარეობით 3.58 მლნ ლარი (საპროცენტო შემოსავლების 48%) შეადგინა. სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილ დეპოზიტებსა და ანგარიშებზე რიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა 2013 წლის აგვისტოს თვის მდგომარეობით შეადგინა ჯამურად 2.2 ათასი ლარი.



დიაგრამა. სახელმწიფო ბიუჯეტის საპროცენტო შემოსავლების დინამიკა(ათასი ლარი)

რაც შეეხება სანქციებსა და ჯარიმებს, 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით, სანქციების მუხლით შემოსავლების გეგმური მაჩვენებელი, გასული წლის თავდაპირველი საბიუჯეტო კანონის მსგავსად, განისაზღვრა 100 მლნ ლარის ოდენობით. რაც შეეხება შესრულებას,

2013 წლის 8 თვის მდგომარეობით სანქციებიდან მიღებულმა შემოსავალმა 83.8 მლნ ლარი(წლიური გეგმის 84%) და სხვა შემოსავლების 43% შეადგინა. 2013 წლის 8 თვის მდგომარეობით ამ მუხლით მოზილიზებული შემოსავლების უდიდესი წილი მოდის ივლის-აგვისტოს პერიოდზე.



3. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები


სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ჯამური მოცულობა 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განისაზღვრა 8,748.5 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 8 თვის მდგომარეობით შესრულებამ 4,603 მლნ ლარი(წლიური გეგმის 53%)და 9 თვის გეგმის 72.1 % შეადგინა. ამასთან, სახაზინო სამსახურის ინფორმაციით, ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების შესრულება 9 თვის გეგმის 74%-ს და 52%-ს შეადგენს. კვარტალურ განწერასთან შესაბამისობის ანალიზისას, საყურადღებოა, რომ როგორც უკვე აღინიშნა, მიმდინარე წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერაში განხორცილებული ცვლილებებით, გადასახდელების კვარტალური გეგმები პირველი და მეორე კვარტლისათვის დაკორექტირდა და სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური შესრულების ანგარიშებში ასახულ იქნა კორექტირებული გეგმური მაჩვენებლები. საწყის კვარტალურ გეგმასთან მიმართებაში გადასახდელების კომპონენტების შესრულება მოცემულია ცხრილში.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები(ათასი ლარი)

საწყისი კვარტალური გეგმა	კორექტირებული კვარტალური გეგმა	ფაქტობრივი შესრულება	ფაქტობრივი შესრულება(%-ად საწყის კვარტალურ გეგმასთან)	ფაქტობრივი შესრულება(%-ად კორექტირებულ კვარტალურ გეგმასთან)


3 თვე					
ხარჯები	1,833,066	1,416,147	1,351,078	73.7%	95.4%
არაფინანსური აქტივების ზრდა	182,732	87,725	60,063	32.9%	68.5%
ფინანსური აქტივების ზრდა	94,106	62,410	83,834	89.1%	134.3%
ვალდებულებების კლება	84,460	71,961	69,266	82.0%	96.3%
გადასახდელები	2,194,364	1,638,243	1,564,241	71.3%	95.5%
6 თვე					
ხარჯები	3,561,460	2,957,463	2,809,894	78.9%	95.0%
არაფინანსური აქტივების ზრდა	394,937	188,092	169,318	42.9%	90.0%
ფინანსური აქტივების ზრდა	160,897	106,542	128,893	80.1%	121.0%
ვალდებულებების კლება	317,695	291,577	287,479	90.5%	98.6%
გადასახდელები	4,434,989	3,543,673	3,395,584	76.6%	95.8%

რაც შეეხება გადასახდელების ცალკეული კომპონენტების დინამიკას, 2013 წლის 8 თვის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების საშუალო თვიური მაჩვენებელი 478 მლნ ლარის შეადგენს. ამასთან, თუ ჩავთვლით, რომ მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების გეგმური მაჩვენებელი (7,248 მლნ ლარი) შესრულდება, მივიღებთ, რომ 2013 წლის ბოლო 4 თვის ხარჯვითი ნაწილის საშუალო თვიური მაჩვენებელი პირველი 8 თვის საშუალო მაჩვენებელს 1.8-ჯერ გადააჭარბებს.



დიაგრამა. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ყოველთვიური დინამიკა (2012-2013 წწ)

ანალოგიური ტენდენცია ვლინდება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების ანალიზითაც. კერძოდ, 2013 წლის 8 თვის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდის საშუალო თვიური მაჩვენებელი 38.4 მლნ ლარის შეადგენს. ამასთან, თუ ჩავთვლით, რომ მიმდინარე წლის საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული გეგმური მაჩვენებელი (720.9 მლნ ლარი) შესრულდება, მივიღებთ, რომ 2013 წლის ბოლო 4 თვის არაფინანსური აქტივების ზრდის საშუალო თვიური მაჩვენებელი პირველი 8 თვის საშუალო მაჩვენებელს 2.7-ჯერ გადააჭარბებს.



დიაგრამა. სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების ყოველთვიური დინამიკა

ზემოაღნიშნული ტენდენციები შესაძლოა მიანიშნებდეს, გასული წლების მსგავსად მიმდინარე წლის დასასრულს გადასახდელების ზრდის ალბათობაზე. წლის ბოლოსათვის აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრების მასშტაბური ხარჯვა კი, როგორც 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაშიც აღინიშნა, ქმნის რესურსების არაეფექტურად და არამიზნობრივად გახარჯვის რისკს და მიზანშეწონილია ეტაპობრივად შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მხარჯავი უწყებების მიერ ეფექტიანი და ეკონომიური ხარჯვისათვის ქმედითი სტიმულების შექმნას².

² ფისკალური წლის დასასრულს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების არსებით ზრდასთან დაკავშირებული რისკები, ასევე აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის საერთაშორისო პრაქტიკით მიღებული ცალკეული მექანიზმები განხილულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პუბლიკაციაში "ასიგნებების გადატანის უფლებამოსილება შემდგომი ფისკალური წლისათვის(Carry Over)"

3.1. მხარჯავი დაწესებულებები

ხარვეზები ვლინდება მხარჯავი დაწესებულებების კრილში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დაგეგმვასა და შესრულებასთან დაკავშირებით.

უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა, ბიუჯეტის დაგეგმვაში არსებული ხარვეზები, რაც ვლინდება, ერთი მხრივ, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში, მეორე მხრივ, კვარტალურ განწერაში განხორციელებული ცვლილებებით. მაგალითად, რიგ შემთხვევებში ცალკეული ქვეპროგრამებისათვის (საქვეუწყებო/რეგიონალური დაწესებულებებისათვის) ასიგნებები განისაზღვრება ცენტრალიზებულად, ძირითადი პროგრამის ასიგნებებში და წლის განმავლობაში ხდება გადანაწილება შესაბამის ქვეპროგრამებზე. მაგალითად, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე ცალკე არ იქნა დიფერენცირებული სოციალური დახმარების ფარგლებში რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრების ასიგნებები. აღნიშნული ჯამური თანხა დამტკიცდა სოციალური მომსახურების აპარატის ასიგნებებით, ხოლო წლის განმავლობაში მისი გადანაწილება განხორციელდა დაზუსტებულ გეგმაში ცვლილებების შეტანით. მიმდინარე წლის 8 თვის განმავლობაში აღნიშნული მიზნით უკვე განხორციელებულია 7 ცვლილება 10 საკოორდინაციო ცენტრისათვის სახსრების გადანაწილების მიზნით, ჯამური მოცულობით 2,888.1ათასი ლარი. ანალოგიურად, თავდაცვის სამინისტროს „შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შენარჩუნების და ამაღლების პროგრამისათვის(პროგ. კოდი 29 01) განსაზღვრული ასიგნებებიდან უკვე წლის დასაწყისში-16 იანვარს გადანაწილებულ იქნა სახსრები საწყისი სამხედრო და უმაღლესი სამხედრო განათლების პროგრამების დასაფინანსებლად-ჯამურად, 6,912.2 ათასი ლარის ოდენობით (2013 წლის 16 იანვრის №4/11 წერილი; ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №9).

რაც შეეხება შესრულების მიმდინარეობას, ანალიზით ვლინდება დაბალი ათვისების ტენდენცია. ჯამურად, ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით, 8 თვის მდგომარეობით ათვისება 9 თვის გეგმის 50%-ზე ნაკლებს შეადგენს პროგრამების 27%-ისათვის(საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელების გარეშე). ამასთან, ცალკეული პროგრამებისათვის, რომელთათვისაც 9 თვის გეგმასთან მიმართებაში ათვისების მაჩვენებელი 50%-ზე მაღალია, დაბალი ათვისების ტენდენცია ვლინდება პროგრამის შემადგენელი ქვეპროგრამებისათვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ხორციელდება ცვლილებები დამტკიცებულ კვარტალურ განწერაში.

მაგალითად, აღნიშნული ტენდენცია ვლინდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის ანალიზითაც. კერძოდ, საწყისი კვარტალური განწერით განსაზღვრული I კვარტლის გეგმიდან შესაბამის პერიოდში აუთვისებელი სახსრები 59,957 ათასი ლარის ოდენობით გადატანილ იქნა II კვარტლის გეგმაში, ხოლო მოგვიანებით ანალოგიურად მე-III კვარტლის გეგმაში გადატანილ იქნა II კვარტალში აუთვისებელი სახსრები- 55,711 ათასი ლარის ოდენობით. ჯამურად, მიმდინარე წლის 8 თვის მდგომარეობით სამინისტროს ასიგნებების ათვისების მდგომარეობა „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სამინისტროსათვის დამტკიცებული წლიური ბიუჯეტის(ასევე დაზუსტებული წლიური გეგმის) მხოლოდ 55%-ს (ნომინალურ გამოსახულებაში-1,292,694,433 ლარი) შეადგენს. პირველ რიგში, აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა, მიმდინარე წლის ივნისში სოციალური/ჯანდაცვის პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები. ყველაზე დიდი კორექტირება მიმდინარე წლის განმავლობაში ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამას შეეხო, რომელიც 2013 წლის 8 თვის განმავლობაში შემცირებულია სულ 76,485,500 ლარით საიდანაც:

- 49.4 მლნ ლარი (65%) გადატანილ იქნა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში, რომელიც ივნისის თვეში ამოქმედდა და დაზუსტებულ გეგმასთან(48,281,000 ლარი) მიმართებაში მიმდინარე პერიოდისათვის 35%-ითაა ათვისებული.
- 5.5 მლნ ლარი(7%) გადატანილი იქნა რეფერალური პროგრამის ასიგნებებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გასაწევად, სამედიცინო დახმარების მსურველ მოქალაქეთა მაღალი მომართვიანობიდან გამომდინარე.
- 21 მლნ ლარი(28%) კი გადატანილ იქნა სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვის პროგრამისათვის, რომლისთვის მიმდინარე წლის განმავლობაში დაბალი ათვისების ტენდენცია ვლინდება.

პროგრამების მიხედვით დაბალი ათვისების ტენდენცია ვლინდება „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ პროგრამისათვის. აღნიშნული პროგრამის საბოლოო შედეგებად განსაზღვრულია ჯანმრთელობის დაცვის სისტემისათვის ისეთი პრიორიტეტული საკითხები, როგორებიცაა: ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის თანამედროვე

სტანდარტების შესაბამისი სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი; თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პათოლოგიური ლაბორატორია; ქვეყანაში ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერის სისტემის დანერგვა; ქვეყნისათვის საჭიროების შესაბამისი პათოლოგიის დარგის ლაბორატორიული სიმძლავრეები. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სფეროებისა, ზემოაღნიშნული განაწილების შედეგად, პროგრამის ბიუჯეტში დამატებით მიმართული 21,585.5 ათასი ლარიდან 11 მლნ ლარი განსაზღვრულ იქნა ქვეყანაში სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების რეფორმის განსახორციელებლად, კერძოდ, სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მანქანების 220 ცალი სპეც მანქანის შესყიდვის მიზნით. თუმცა 8 თვის მდგომარეობით პროგრამის ათვისება დაზუსტებული გეგმის მხოლოდ 9%-ს შეადგენს, რაც რისკქვეშ აყენებს მიმდინარე წელს ზემოაღნიშნული მიზნების განხორციელებას.

ანალოგიური ტენდენცია ვლინდება სამინისტროს სხვა პროგრამების ბიუჯეტის შესრულების ანალიზითაც. კერძოდ, 8 თვის მდგომარეობით ათვისებულია სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ფარგლებში გაწერილი ცალკეული ქვეპროგრამების ასიგნებები(იხ. ცხრილი).

კოდი	დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	შესრულება	ათვისებული თანხა (8 თვის მდგ.)
35 02 03 04	მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	599,000.00	304,000.00	-	(304,000.00)
35 02 03 09	ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა	20,000.00	12,800.00	-	(12,800.00)
35 03 04	დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება	1,000,000.00	1,000,000.00	-	(1,000,000.00)

ასევე, დაბალი ათვისებით(წლიური გეგმის 5-14%) ხასიათდება პროგრამის „შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა“ ფარგლებში გაწერილი ქვეპროგრამების ცალკეული კომპონენტები(იხ. ცხრილი).

კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული 30.08.2013წ. მდგომარეობით	შესრულება (8 თვის მდგ.)	ათვისება(%)
35 01 02 02	სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა და კონტროლი	200,000.00	200,000.00	10,585.00	5%
35 01 02 03	სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლი	70,000.00	141,000.00	19,080.06	14%
35 01 07	ნარკომანიით დაავადებულ პირთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამა	2,337,000.00	1,957,800.00	140,080.91	7%

ანალოგიური ტენდენცია ვლინდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტის შესრულების ანალიზითაც. კერძოდ, საწყისი კვარტალური განწერით განსაზღვრული I კვარტლის გეგმიდან შესაბამის პერიოდში აუთვისებელი სახსრები 33,547.7 ათასი ლარის ოდენობით გადატანილ იქნა II კვარტლის გეგმაში, ხოლო მოგვიანებით ანალოგიურად მე-III კვარტლის გეგმაში გადატანილ იქნა II კვარტალში აუთვისებელი სახსრები- 38,620.1 ათასი ლარის ოდენობით. ჯამურად, 2013 წლის 8 თვის მონაცემებით, სამინისტროს ასიგნებების შესრულებამ დაზუსტებული გეგმის 57.72% (392,203.91 ათასი ლარი) შეადგინა. 8 თვის მდგომარეობით, პროგრამების მიხედვით დაბალი ათვისების ტენდენცია ვლინდება პროფესიული განათლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამებში.

დასახელება	დაზუსტებული გეგმა (მიზნობრივი გრანტების ჩათვლით)	შესრულება 8 თვის მდგომარეობით	შესრულება (%)
32 01 განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	12,628.80	7,387.35	58%
32 02 ზოგადი განათლება	442,047.98	283,109.94	64%
32 03 პროფესიული განათლება	16,901.60	4,467.99	26%
32 04 უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამა	130,020.99	73,423.41	56%
32 05 საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება	77,935.54	23,815.22	31%

შესრულების დაბალი მაჩვენებლები ვლინდება უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამის ფარგლებში გაწერილი ცალკეული ქვეპროგრამების ასიგნებებში(იხ. ცხრილი). აღნიშნული ტენდენციები ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია დაკავშირებული იყოს თავად პროგრამის შინაარსთან და სეზონურობასთან, თუმცა ჯამურად, წლიური დაზუსტებული გეგმის 50%-ზე ნაკლებია ათვისებული სამინისტროს 20-ზე მეტ ქვეპროგრამაში.

დასახელება	დაზუსტებული გეგმა (მიზნობრივი გრანტების ჩათვლით)	შესრულება 8 თვის მდგომარეობით	შესრულება (%)
32 02 11 ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვა და მონიტორინგი	519.30	34.12	6.57%
32 04 01 13 უმაღლესი საგანმანათლებლო			1.98%

	დაწესებულებების ხელშეწყობა - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განკარგვა	1,146.34	22.67	
32 01 02 64	განათლების სფეროში სამინისტროს პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განკარგვა	101.30	-	0.00%
32 04 03 05	მეცნიერების აღდგენა და განვითარება	1,887.80	-	0.00%
32 04 04 03 01	სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განკარგვა	1327.2	-	0.00%
32 04 04 04	დოქტორანტურის პროგრამების დაფინანსება	1,000.00	-	0.00%
32 04 04 06	პროგრამა „სტუდენტური ბარათი“	50.00	-	0.00%

დაბალი ათვისების ტენდენცია ვლინდება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტის შესრულების ანალიზითაც, კერძოდ, 8 თვის მდგომარეობით სამინისტროს ასიგნებების ათვისება 9 თვის გეგმის 46.6%-ს, ხოლო წლიური გეგმის - 37.3%-ს შეადგენს. ამასთან, ცალკეული პროგრამების შესრულება 6 თვის მდგომარეობით წლიური დაზუსტებული გეგმის 20-30%-ს უტოლდება(იხ. ცხრილი). სამინისტროს განმარტებით, ათვისების ზემოაღნიშნული ტენდენცია დაკავშირებულია საერთაშორისო ტენდერების ჩაშლით (ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება და იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა), დონორებთან დაფინანსების ხელშეკრულებების და სამშენებლო კონტრაქტების დაგვიანებით ხელმოწერით (წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტები), კულტურული მემკვიდრეობის ფონდისა (რეგიონული განვითარების პროექტი ნაწილი I და II -იმერეთი და კახეთი) და იუნესკოს შენიშვნების გამო პროექტების შეჩერებით (მცხეთის საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის პროექტი) და სამშენებლო ტენდერების ხელახალი ჩატარების საჭიროებით (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა).

პროგრამული კოდი	დასახელება	სულ დაზუსტებული	საკასო	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში
25 02	საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები	550 007,3	154 487,9	28,1%
25 02 02	გზების მშენებლობა და მოვლა-	224 487,3	67 733,3	26,6%

	შენახვა			
25 02 03	ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა	290 250,0	84 338,3	29,1%
25 03	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	183 407,0	29 008,8	15,8%
25 04	წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია	130 663,0	21 167,6	16,2%
25 05	იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა	85 310,0	16 680,2	19,6%

მხარჯავი დაწესებულებების მიერ საბიუჯეტო რესურსების მართვასთან დაკავშირებით საყურადღებოა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის სხვა მიზნით გამოყენების საკითხი. კერძოდ, „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს როგორც გასული წლების, ისე მიმდინარე წლის კანონის შესაბამის მუხლში(თავი 8, მუხლი 24, პუნქტი 2), რომელიც აღნიშნულ საკითხს არეგულირებს, ადრესატად მითითებულია საქართველოს სამინისტროები და არა მხარჯავი დაწესებულებები. კერძოდ, აღნიშნულია: „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საბიუჯეტო სახსრებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის სხვა მიზნით გამოყენების საკითხი საქართველოს სამინისტროებმა უნდა დააყენონ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს. საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული ეკონომიის ამ კანონით გათვალისწინებულ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებში მიმართვის თაობაზე“. ზემოაღნიშნულ ფორმულირებაზე დაყრდნობით, საქართველოს სპეციალური დაცვის სამსახურის მიერ, რომელიც დამოუკიდებელი მხარჯავი დაწესებულებაა, ჩატარებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის შეთანხმება ფინანსთა სამინისტროსთან არ ხდებოდა. შესაბამისად, ზემოაღნიშნული რისკის გათვალისწინებით მიზანშეწონილია ფინანსთა სამინისტროს მხრიდან აღნიშნულ საკითხზე დამატებით გამახვილდეს ყურადღება, რათა კანონში განსაზღვრული რეგულაცია გავრცელდეს სამინისტროების გარდა, სხვა დამოუკიდებელ მხარჯავ დაწესებულებებზეც.

ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით მიზანშეწონილია დამატებითი ყურადღება გამახვილდეს მხარჯავ დაწესებულებებს შორის აქტივების გადაცემასა და შესაბამის კონტროლის მექანიზმებზე. კერძოდ, როგორც სპეციალური დაცვის სამსახურის ბიუჯეტის ანალიზით იქნა გამოვლენილი, არსებობს რისკი, რომ სახელმწიფო ქონების შესახებ კანონით გათვალისწინებული ქონებაზე სარგებლობის უფლების გადაცემა გამოყენებულ იქნება ერთჯერადი გამოყენების მატერიალურ მარაგებთან მიმართებაში, რაც მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება. კერძოდ, 2012 წლის 13 ოქტომბერს სამსახურმა „სამსახურის საჭიროებისათვის“ შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე ერთ-ერთი სამინისტროსაგან მიიღო 498.5 ათასი ლარის ღირებულების საწვავი. წერილის საფუძველად მითითებულ იქნა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი(მუხლი 35; პუნქტი 2³) და „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 302 დადგენილებით დამტკიცებული წესი(მუხლი 4. პუნქტები 1, 2, 4⁴). იმის გათვალისწინებით, რომ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ქონება განისაზღვრება, როგორც „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი და უძრავი ნივთები, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე;“(მუხლი 2,ა), ამასთან აღნიშნული კანონის მოქმედება არ ვრცელდება „ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების პროგრამების ფარგლებში ფიზიკური პირებისათვის შესყიდულ საქონელზე, აგრეთვე ერთჯერადი გამოყენების, სწრაფგვეთადი საგნების, ფარმაცევტული და კვების პროდუქტების (გარდა სახელმწიფო საკუთრებაში მისაქცევი ან მიქცეული

³ სახელმწიფო ქონების სარგებლობაში პირველადი გადაცემის შემდეგ სახელმწიფო ორგანო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ეს ქონება სარგებლობაში გადასცეს სხვა სახელმწიფო ორგანოს, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, რაზედაც ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. სახელმწიფო ორგანოს, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლება აქვს, ამ კანონით დადგენილი წესით სარგებლობაში გადასცეს ის ქონება, რომელიც მის ბალანსზე ირიცხება.

⁴ ამ უკანასკნელი პუნქტის მიხედვით კი „მიმართვა უნდა შეიცავდეს სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის დასახელებას და დასაბუთებულ მოთხოვნას ქონების გადაცემის თაობაზე. მიმართვას თან უნდა ახლდეს ქონების მონაცემები (საკადასტრო აზომვითი ნახაზი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – უძრავი ქონების შემთხვევაში)“.


ქონებისა) დარიგება-გადაცემაზე“(მუხლი 1, ზ), გაურკვეველია რას გულისხმობს ერთჯერადი გამოყენების საწვავის, რომელიც მოძრავ ნივთად არ შეიძლება ჩაითვალოს, სარგებლობის უფლებით გადაცემა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, აღნიშნული გადაცემა ფაქტობრივად წარმოადგენს მხარჯავ დაწესებულებებს შორის საბიუჯეტო ასიგნებების გადანაწილებას, რაც საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, მხოლოდ საბიუჯეტო კანონში ცვლილებითაა შესაძლებელი და შესაბამისად, მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება.

3.2. საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები

საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ჯამური მოცულობა 2013 წლის ბიუჯეტის კანონით განისაზღვრა 2,208.8 მლნ ლარის დონეზე, უდიდესი კომპონენტებით: საგარეო და საშინაო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა(შესაბამისად, 665 და 151 მლნ ლარი), რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი(449.3 მლნ ლარი) და ტერიტორიული ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები(769.7 მლნ ლარი).

2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მიხედვით, მთავრობის სარეზერვო ფონდის ზღვრული მოცულობა წინა წლის დონეზე(50 მლნ ლარი) შენარჩუნდა, ხოლო პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის გეგმა გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით არსებითად შემცირდა და 10 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა. რაც შეეხება ათვისებას, ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით, 8 ტვის მდგომარეობით, მთავრობისა და პრეზიდენტის ფონდებიდან გადარიცხული სახსრები წლიური გეგმის შესაბამისად 35% და 70%-ს უტოლდება. ფონდების ათვისების მიზნობრიობა(ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული მონაცემები განკარგულებების მიხედვით გადარიცხვის შესახებ 5 სექტემბრის მდგომარეობით) მოცემულია დიაგრამებზე.

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი




■ საიდუმლო

■ მხარჯავი დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირების, საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მიმდინარე საჭიროებების დაფინანსება

■ კულტურული, სპორტული, ტურიზმის ხელშეწყობის და საერთაშორისო ღონისძიებების დაფინანსება

■ სოციალური ტიპის დანახარჯები და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება

მთავრობის სარეზერვო ფონდი



■ საიდუმლო

■ კულტურული, სპორტული, საერთაშორისო და სხვა მსგავსი პროექტების დაფინანსება


■ მხარჯავი დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირების, იურიდიული მომსახურების ხარჯებისა და სხვა მიმდინარე საჭიროებების დაფინანსება

■ სოციალური ტიპის დანახარჯები და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება

■ 2014 წლის საყოველთაო აღწერის ხარჯებისა და საპრეზიდენტო არჩევნების ხარჯების დაფინანსებას

რაც შეეხება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდს, მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონით მისი ზღვრული მოცულობა განსაზღვრულ იქნა 449.3 მლნ ლარის დონეზე(პროგრ. კოდი 51 08), ხოლო სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში(პროგრ. კოდი 51 09) ასიგნებების მოცულობა 50 მლნ ლარის დონეზე. რაც შეეხება ათვისებას, ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით, 8 თვის მდგომარეობით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან(სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ჩათვლით) საკასო შესრულებამ 69 587.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის მხოლოდ 13.94%-ს წარმოადგენს.

როგორც დიაგრამაზე ჩანს, ფონდიდან გადარიცხული თანხების უდიდესი წილი (74%) მიმართულ იქნა ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერებზე, მათ შორის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ათვისებამ 13.1 მლნ ლარი შეადგინა.




დიაგრამა. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გადარიცხული სახსრების განაწილება მხარჯავი დაწესებულებების/პროგრამების მიხედვით


საყურადღებოა, რომ ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მთავრობის ანგარიშში მოცემული ციფრები და ხაზინის 8 თვის მონაცემები შორის მთავრობისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდებისა და რეგიონებში განსახორციელებელი ფონდის შესრულების მდგომარეობის შესახებ განსახვავებულია, რაც ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ მთავრობის ანგარიშში მოცემულია მაჩვენებლები განკარგულებების საფუძველზე გამოყოფილი სახსრების ჯამური მოცულობის შესახებ, ხოლო ხაზინის მონაცემებში ასახულია აღნიშნული განკარგულებების ფარგლებში დაზუსტებული გეგმის(ცნობების საფუძველზე გამოყოფის) და ათვისების შესახებ. მაგ. ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით, 2013 წ. 8 თვის მდგომარეობით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან(სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ჩათვლით) გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 105 341.8 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ 69 587.2 ათასი ლარი. აქედან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილ იქნა 49 993.8 ათასი ლარი, ხოლო 8 თვის ბოლოსათვის ამ პროგრამის ფარგლებში საკასო შესრულებამ კი (ფაქტიურად გადარიცხულმა) 13 059 ათასი ლარი(19%) შეადგინა. თუმცა მთავრობის ანგარიშში მითითებულია, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი

პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 366 261.3 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 56 528,2 ათასი ლარი“. საკასო შესრულების შესახებ მოცემული თანხა ემთხვევა სხვაობას ჯამური გადარიცხვის ციფრსა და სოფლის პროგრამის ათვისებას შორის, ხოლო გამოყოფის შესახებ მონაცემებში განსხვავება დაკავშირებულია ანალოგიურად იმ ფაქტთან, რომ მთავრობის ანგარიში ასახავს განკარგულებების(და არა ცნობების) საფუძველზე გამოყოფილი სახსრების ჯამურ მოცულობას. ზემოაღნიშნული სხვაობების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია მთავრობის ანგარიშში ფონდებთან დაკავშირებით მითითებულ იქნას, როგორც განკარგულებების, ისე ცნობების საფუძველზე გამოყოფილი თანხა და შესრულების შესახებ მონაცემები.

რაც შეეხება ტერიტორიული ერთეულებისათვის გადასაცემ ტრანსფერებს, 2013 წლის ბიუჯეტის კანონით ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები განისაზღვრა 769.7 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო ხაზინის მონაცემებით, 2013 წლის 8 თვის მდგომარეობით დაზუსტებული გეგმა 1,101.7 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა. რაც შეეხება შესრულებას, გადარიცხულმა ტრანსფერებმა, როგორც მთავრობის ანგარიშის, ისე ხაზინის 8 თვის მონაცემების მიხედვით, 568.2 მლნ ლარი შეადგინა.



ტრანსფერების სტრუქტურა ტიპების მიხედვით მოცემულია დიაგრამებზე.



რაც შეეხება დინამიკას მიმდინარე წლის განმავლობაში, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები მეტნაკლები პროპორციულობით არის გადანაწილებული კვარტლების მიხედვით, შედარებით მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება ივლის-აგვისტოს პერიოდში.

4. ლიკვიდობის მართვის საკითხები

4.1. სახაზინო ვალდებულებები/ობლიგაციები

2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მიხედვით, საშინაო ვალდებულებების ზრდის გეგმა (შემოსულობა საშინაო ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) განსაზღვრულ იქნა 150 მლნ ლარის დონეზე, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 50 მლნ ლარით აღემატება. რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების კლებას(ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა), მისი გეგმური მაჩვენებელი გასული წლის ანალოგიური მაჩვენებლის მსგავსად, 35 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა.

საშინაო ვალდებულებები(ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა); მლნ ლარი

	2013 წლის გეგმა	ფაქტობრივი შესრულება (2013 წ. 8 თვე)
საშინაო ვალდებულებების ზრდა (ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა)	150	71.2
საშინაო ვალდებულებების კლება (ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა)	35	21.0

როგორც 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაშიც აღინიშნა, საყურადღებოა საშინაო ვალდებულებების ზრდის (შემოსულობა საშინაო ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) და საშინაო ვალდებულებების კლების მუხლების აღრიცხვის სპეციფიკა. კერძოდ, 2013 წლის ბიუჯეტის კანონის მიხედვით(თავი VIII, მუხლი 21), ისევე როგორც წინა წლებში, საშინაო ვალდებულებების ზრდის მუხლი(ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა) განსაზღვრავს სახაზინო ვალდებულებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდას⁵, ანუ სახაზინო

⁵ ამასთან, ამავე პუნქტში მითითებულია: „საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სახაზინო ვალდებულებისა და სახაზინო ობლიგაციების დაფარვის აღრიცხვა განახორციელოს ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამისი მუხლის შემცირების გზით“.

ობლიგაციებისა და სახაზინო ვალდებულებების ემისიით მიღებულ არა მთლიან შემოსულობებს, არამედ წმინდა შემოსულობებს წინა წლებში გამოშვებული ვალდებულებების/ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვის გამოკლებით. ამავე დროს, ბიუჯეტის კანონის საშინაო ვალდებულებების კლების შესაბამისი მუხლი(ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა), განსაზღვრავს მხოლოდ „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის მიერ გასულ წლებში გამოშვებული სახელმწიფო ობლიგაციების ღირებულების დაფარვის ოპერაციებისათვის დაფარვას 35 მლნ ლარის ოდენობით.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2013 წლის 8 თვის განმავლობაში ფინანსთა სამინისტროს მიერ ემიტირებულ იქნა 245 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები/ობლიგაციები, მათ შორის: 95 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების 12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები და 150 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების 2, 5 და 10 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები. ამავე პერიოდში დაფარულ იქნა გასულ წლებში ემიტირებული 175 მლნ ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდების საფუძველზე წარმოქმნილი ვალდებულება.

		ნომინალური ღირებულება (ემისიის მოცულობა)	ფაქტობრივი შემოსულობა სახელმწიფო ბიუჯეტში	დისკონტი	პრემიუმი
გამოშვება					
12-თვიანი	სახაზინო	95,000,000	90,188,931	-4,811,069	-
ვალდებულებები					
2- წლიანი სახაზინო	ობლიგაცია	70,000,000	70,260,223	-37,970	298,193
5- წლიანი სახაზინო	ობლიგაცია	50,000,000	50,887,099	-24,054	911,154
10-წლიანი სახაზინო	ობლიგაცია	30,000,000	30,755,148	-33,618	788,765
ჯამი:		245,000,000	242,091,401		1,998,112

ცხრილი 13. სახაზინო ვალდებულებების/ობლიგაციების ემისია(ლარი; 2013 წლის 8 თვე)

	ძირითადი თანხა	დისკონტი	კუპონი
მომსახურება/დაფარვა			
12-თვიანი სახაზინო	84,481,599	5,518,401	-
ვალდებულებები			

2-წლიანი სახაზინო ობლიგაცია	84,929,689	70,311	18,719,000
5-წლიანი სახაზინო ობლიგაცია	-	-	13,005,800
10-წლიანი სახაზინო ობლიგაცია	-	-	4,355,000
ჯამი:	169,411,288	5,588,712	36,079,800

ცხრილი 14. სახაზინო ვალდებულებების/ობლიგაციების მომსახურება და დაფარვა(ლარი; 2013 წლის 8 თვე)

აქვე საყურადღებოა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიით მიღებული შემოსულობა მოიცავს როგორც შემოსულ ძირითად თანხას (ვალდებულებების ზრდა), ასევე სახელმწიფო ობლიგაციების ნომინალზე ზევით მიღებულ შემოსულობას (პრემიუმს), რომელიც ვალდებულების ზრდას არ წარმოადგენს და ვალდებულებების ზრდის მუხლიდან გადაიტანება სხვა არაკლასიფიცირებულ შემოსავლებში (სახაზინო კოდი 3282). შესაბამისად, 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ ანგარიშებში I და II კვარტლებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსის „საშინაო ვალდებულებების ზრდის“ მუხლი წმინდა შემოსულობის დათვლისას არ მოიცავს აღნიშნულ პრემიუმს და ასახავს სხვაობას შემოსულ და დაფარულ ძირითადი თანხას შორის. თუმცა მიმდინარე წლის 8 თვის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშში, ისევე როგორც ხაზინის 8 თვის ანგარიშში, საშინაო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობა ასახულია 71.17 მლნ ლარის დონეზე, მაშინ როდესაც აღნიშნული პერიოდისათვის სხვაობა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიით შემოსულ და დაფარულ ძირითად თანხას შორის შეადგენს 70.68 მლნ ლარს შეადგენს. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ხაზინის მაჩვენებელი მოიცავს 21.08.2013წ. აუქციონის გზით ემიტირებული 10 მლნ ნომინალური ღირებულების 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების ემისიის შედეგად მიღებულ პრემიუმს 491,742 ლარის ოდენობით, რომელიც ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, სხვა შემოსავლების მუხლში მოგვიანებით იქნა გადატანილი.

	3 თვე	6 თვე	8 თვე
ბიუჯეტში შემოსული თანხა	83,483,807	182,758,093	242,091,401
სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიიდან			
მ.შ. პრემიუმი	410,465	1,506,370	1,998,112
ვალდებულების ზრდა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიიდან	83,073,342	181,251,723	240,093,289
სახაზინო ფასიანი ქაღალდების ძირითადი თანხის დაფარვა	52,345,408	131,080,608	169,411,288

ვალდებულების წმინდა ზრდა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიიდან	30,727,934	50,171,115	70,682,001
სახელმწიფო ბიუჯეტის საშინაო ვალდებულებების ზრდის მუხლი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში	30,727,934	50,171,115	71,173,743

ცხრილი 15. სახაზინო ვალდებულებების/ობლიგაციების აღრიცხვა ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში

რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების/ობლიგაციების გამოშვებით დაგროვილი ვალის ნაშთს, კვარტალურ ანგარიშებში მოცემული მოცულობის ცვლილება წლის დასაწყისიდან მხოლოდ რიგ შემთხვევაში ემთხვევა მიღებულ და გამოშვებულ ძირითად თანხას შორის სხვაობას, რაც ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით დაკავშირებულია იმ ფაქტთან რომ 6 თვის კვარტალურ ანგარიშში ასახული ვალის ნაშთი წარმოდგენილია ნომინალურ გამოსახულებაში.

	31/12/2012 წ.	3 თვე	6 თვე
ვალის მოცულობა*	580.4	611.1	637.0
ვალდებულებების წმინდა ზრდა შესრულების ანგარიშებში (კუმულაციური)		30.7	50.2
ვალის მოცულობის ცვლილება		30.7	56.6

ცხრილი 16. სახაზინო ვალდებულებების/ობლიგაციების ემისიით დაგროვილი ვალი(მლნ ლარი).

* ვალის მოცულობა ასახავს სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალურ ანგარიშებში „სახელმწიფო ვალის“ ნაწილში მოცემულ მაჩვენებლებს სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების ემისიით დაგროვილი ვალის შესახებ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, ერთის მხრივ, როგორც უკვე აღინიშნა 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში, საბიუჯეტო სახსრების მოძრაობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მოსაწოდებლად, მიზანშეწონილია როგორც ბიუჯეტის კანონში, ასევე ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში, სახაზინო ვალდებულებების/ობლიგაციების გამოშვების შედეგად მიღებული სახსრები სრულად აისახოს ვალდებულებების ზრდის, ხოლო ძირითადი თანხის დაფარვა - ვალდებულებების კლების მუხლით. ამასთან, მიზანშეწონილია უზრუნველყოფილ იქნას სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიისას მიღებული პრემიუმის დროულად და სწორად აღრიცხვა შესაბამის სახაზინო კოდზე, რათა პარლამენტისათვის მიწოდებული ყოველთვიური მონაცემები ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ იძლეოდეს საშინაო ვალდებულებების აღნიშნული

კომპონენტის დინამიკის თანმიმდევრულ სურათს. ასევე მიზანშეწონილია ანგარიშებში წარმოდგენილი ინფორმაცია ვალის აღნიშნული კომპონენტის ნაშთის თანმიმდევრულ სურათს ასახავდეს, ხოლო აღრიცხვის კუთხით ცვლილებების შემთხვევაში მითითებულ იქნას აღნიშნული საკითხი.

4.2. ფულადი სახსრების მართვა

2013 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული სახსრები კომპონენტების მიხედვით მოცემულია ცხრილში.

<i>სამთავრობო დეპოზიტები(ათასი ლარი)⁶</i>				
№		02.01.2012.	03.01..2013	02.09.2013
1.	ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი	135,191 ⁷	332,395	398,490.8
2.	შემოსავლების სარეზერვო ქვეანგარიში	45,738	18,846	21,076.8
3.	მიზნობრივი გრანტები	5,481	13,263	13,605.7
4.	სახაზინო სამსახურის სავალუტო ანგარიშზე რიცხული ნაშთი	169,150	188,012	153,942.4
5.	სსფ ვალის მომსახურების ქვეანგარიში	356,327	356,202	356,247.9
6.	ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული დეპოზიტური ნაშთი	41,159	37,596	37,672.4
7.	დეპოზიტები კომერციულ ბანკში	7,659	-	-
8.	მოკლევადიანი კრედიტები	-	-	-
9.	ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების კუთვნილი თანხები	4,739	990	1,881.8
10.	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები	175,469	152,803	322,599.5
	სულ ანგარიშებზე რიცხული ნაშთი:	940,912	1,100,106	1,305,517.3


ცხრილი 17. სამთავრობო დეპოზიტების დინამიკა

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის დინამიკას 2013 წლის 8 თვის განმავლობაში, დინამიკა უახლოვდება 2012 წლის ანალოგიურ პერიოდში გამოვლენილ ტენდენციას, თუმცა ნომინალურ გამოხატულებაში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მაჩვენებლები(თვის პირველი

⁶ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია.

⁷ დაზუსტების შემდგომ.

რიცხვის მდგომარეობით) აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს, რაც დაბალი ათვისების ტენდენციას შეიძლება უკავშირდებოდეს. კერძოდ, 2013 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მოცულობამ 237 მლნ ლარით მოიმატა (2012 წელს- 221 მლნ ლარი), და 8 თვის განმავლობაში მაქსიმალურ ნიშნულს 507 მლნ ლარს მიაღწია, ხოლო 8 თვის დასასრულს ნაშთმა 398.5 მლნ ლარი შეადგინა. საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის საშუალო მაჩვენებელი(თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით) 399.6 მლნ ლარია, რაც 2012 წლის ანალოგიური პერიოდის საშუალო თვიურ მაჩვენებელს(309.7 მლნ ლარი) 90 მლნ ლარით აღემატება.



დიაგრამა 13. ხაზინის ერთიან ანგარიშზე განთავსებული სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის დინამიკა

სახაზინო სამსახურის ინფორმაციით, მიმდინარე წელს სახელმწიფო ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთიდან მოკლევადიანი კრედიტი არ გაცემულა⁸, ასევე სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არ ირიცხება კომერციულ ბანკში გადატანილი სახსრები. გარდა ამისა, მიუხედავად მიმდინარე წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდისადმი არსებული დავალიანების დაფარვის არსებითი ზრდისა, სახელმწიფო ხაზინის ანგარიშის, „საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მართვის მიზნით ზოგიერთი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 მაისის N1032 განკარგულების შესაბამისად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მომსახურების ქვეანგარიშზე განთავსებული სახსრებიდან აღნიშნული ვალდებულებების დაფარვისათვის

⁸ აღნიშნული ტიპის სეხების გაცემის წესი რეგულირდება „სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებული თავისუფალი ფულადი სახსრებით მოკლევადიანი სესხების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №53 დადგენილებით.


სახსრების მიმართვა არ მომხდარა და აღნიშნულ ქვეანგარიშზე განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 02.09.2013წ. მდგომარეობით შეადგენს 356,247.9 ათას ლარს.

5. საგარეო წყაროებიდან მიღებული დაფინანსება

საგარეო წყაროებიდან მიღებული დაფინანსების ანალიზით ვლინდება, რომ მიმდინარე წლის 8 თვის განმავლობაში საგარეო წყაროებიდან მიღებული სახსრების ოდენობა(როგორც გრანტების, ისე ვალდებულებების ზრდის მუხლით) ნაკლებია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებზე, როგორც ნომინალურ გამოსახულებაში, ისე წილობრივად წლიურ მაჩვენებლებთან მიმართებაში. საპირისპირო ტენდენცია ვლინდება საგარეო ვალდებულებების დაფარვის სახსრებისათვის(საგარეო ვალდებულებების კლება), შედეგად მთავრობის საგარეო ვალის მოცულობა კლების ტენდენციას ავლენს.

კერძოდ, მთავრობის ანგარიშის მიხედვით, საგარეო წყაროებიდან მიღებული გრანტების მოცულობამ 2013 წლის 8 თვის მდგომარეობით 82.5 მლნ ლარი და წლიური გეგმის 40.7% შეადგინა, მაშინ როდესაც ანალოგიური მაჩვენებლები გასული წლისათვის შესაბამისად 138.9 მლნ ლარსა და 51.5%-ს შეადგენდა. რაც შეეხება კრედიტებს, საგარეო ვალდებულებების ზრდით სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებულმა შემოსულობამ ჯამურად 255.7 მლნ ლარი და წლიური გეგმის 35.6% შეადგინა, რაც 2012 წლის მაჩვენებლებზე ნაკლებია (420.9 მლნ ლარი და წლიური შესრულების 61%). საგარეო წყაროებიდან მიღებული დაფინანსების სტრუქტურა ტიპების მიხედვით მოცემულია დიაგრამაზე.

	2013 წელი		
	8 თვის შესრულება	წლიური გეგმა	%
გრანტები	82,497,993	202,500,000	40.7%
საგარეო ვალდებულებების ზრდა (სესხები)	255,705,413	718,000,000	35.6%
საგარეო ვალდებულებების კლება(სულ)	282,155,820	471,800,000	59.8%
ფასიანი ქაღალდები გარდა აქციებისა	106,824,550	110,080,000	97.0%
სესხები	153,541,024	361,720,000	42.4%
სხვა კრედიტორული დავალიანებები	21,790,247	0	
საგარეო ვალდებულებების მომსახურება(პროცენტი)	82,652,023	193,200,000	42.8%



დიაგრამა. საგარეო წყაროებიდან მიღებული დაფინანსება 2013 წლის 8 თვის მდგომარეობით(მლნ ლარი, მთავრობის ანგარიშის მიხედვით)

როგორც უკვე აღინიშნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშზე,საბიუჯეტო კოდექსის (მუხლი 16, პუნქტი 3) შესაბამისად, „სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე მიღებული და სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადარიცხული სახსრები ყველა დონის ბიუჯეტისათვის მიეკუთვნება იმ პერიოდის შემოსულობას, როცა აღნიშნული სახსრების მიღება ან გადარიცხვა აისახა სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე“. შესაბამისად, საგარეო წყაროებიდან მიღებული შემოსულობა სახელმწიფო ბიუჯეტში აისახება არა მისი სავალუტო ანგარიშზე ჩამორიცხვის თარიღით, არამედ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მხარჯავი უწყების/განმახორციელებელი დაწესებულების მოთხოვნის საფუძველზე ხდება მისი კონვერტაცია, ხაზინის ერთიანი ანგარიშის სალარე ანგარიშზე. გარდა ამისა, ხაზინის 8 თვის მონაცემების მიხედვით, მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 14 802.3 მლნ ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტში აისახება კანონში შესაბამისი ცვლილების შემდეგ⁹. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში/ხაზინის მონაცემებში **გრანტების/საგარეო ვალდებულებების ზრდის მუხლით მიღებული შემოსულობებისა და ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალისა და საგარეო დაფინანსების მართვის დეპარტამენტის მაჩვენებლები მიმდინარე წლის 8 თვის მდგომარეობით ფაქტობრივი ათვისების შესახებ¹⁰ (disbursements) მოცემულია ცხრილში.**

საგარეო წყაროებიდან მიღებული სახსრები (კუმულაციური; ათასი ლარი)		
	გრანტები	კრედიტები

⁹ ფინანსთა მინისტრის ბრძანება N547; 2012 წლის 31 დეკემბერი
¹⁰ ფაქტობრივი ჩამორიცხვების შესახებ ინფორმაცია ეყრდნობა ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ მონაცემებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში შესაბამისი მუხლით ასახული შემოსულობა	82,498	255,705
ფაქტობრივი ათვისება	96,326	251,316

გარდა ამისა, ხაზინის მონაცემებით, 8 თვის გადასახდელების შესრულების მდგომარეობის შესახებ, გადასახდელების ჯამური ოდენობიდან 8 თვის ხარჯში გრანტების კომპონენტმა 33,996,427 ლარი, ხოლო კრედიტების კომპონენტმა 262,936,207 ლარი შეადგინა, რაც აღემატება ბიუჯეტის ბალანსში საგარეო ვალდებულებების ზრდის მუხლით ასახულ თანხას(255.7 მლნ ლარი). აღნიშნული ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავშირებულია აღრიცხვის ზემოაღნიშნულ სპეციფიკასა და ცალკეული გრანტებისა და კრედიტების ხელშეკრულებების თავისებურებებთან, რომლებიც ითვალისწინებს განსაზღვრული პროექტების ფარგლებში წინასწარ საბიუჯეტო სახსრების ათვისებას.

რაც შეეხება ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვას, ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები 8 თვის მდგომარეობით გასული წლის მაჩვენებელს 236¹¹ მლნ ლარით(6-ჯერ) აჭარბებს, რაც დაკავშირებულია, ერთი მხრივ, მიმდინარე წელს 2008 წელს გამოშვებული ევროობლიგაციების დარჩენილი, მეორე მხრივ, საერთაშორისო სავალუტო ფონდისადმი არსებული ვალდებულებების ძირითადი თანხის დაფარვასთან.

რაც შეეხება სახელმწიფო ვალის მოცულობის დინამიკას, მიმდინარე წლის განმავლობაში ვლინდება კლების ტენდენცია როგორც ნომინალურ გამოსახულებაში, ისე მშპ-სთან(2013 წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან) მიმართებაში, თუმცა აქვე გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო ვალის კოეფიციენტები გაანგარიშებულია 2013 წლის მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებელთან მიმართებაში.

	31.12.12	31.03.13	31.06.13	31.12.13 (ბიუჯეტის კანონით მოცემული ზღვრული მოცულობა)
მთლიანი სახელმწიფო ვალი	9,113.4	8,971	8,746.5	9,578.1
%-ად მშპ-სთან	34.87%	31.28%	30.5%	33.4%
მათ შორის:				
სახელმწიფო საგარეო ვალი	7218.4	7052.7	6815.3	7552.2
%-ად მშპ-სთან	27.62%	24.59%	23.77%	26.34%
საშინაო ვალი	1895	1918.3	1931.2	2025.9

¹¹ საგარეო ვალდებულებების კლების მუხლი სხვა კრედიტორული დავალიანებების გათვალისწინებით

%-ად მშპ-სთან	7.25%	6.69%	6.73%	7.06%
---------------	-------	-------	-------	-------

ასევე მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე წელს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწვეულ იქნა მსოფლიო ბანკის საშემფასებლო მისია „ვალის მართვის ეფექტიანობის შეფასების სისტემის“ (Debt Management Performance Assessment (DeMPA)) ფარგლებში. მსოფლიო ბანკის „ვალის მართვის ეფექტიანობის შეფასების სისტემა“ (Debt Management Performance Assessment (DeMPA)) 15 ინდიკატორის (DPIs) მეშვეობით აფასებს სახელმწიფო ვალის მართვის ყველა ძირითად ასპექტს და აღნიშნული სისტემისა და მისი კრიტერიუმების შესახებ აღნიშნულ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშზეც. შესაბამისად, მიზანშეწონილია ეტაპობრივად გათვალისწინებულ იქნას აღნიშნული მისიის მიერ მომზადებული რეკომენდაციები, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო ვალის მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.